ბრძანება:**ბ63. 6325136001**
თარიღი:**16/05/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 მაისის სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. მოწვეულ იქნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, 2025 წლის 19 მაისს 11:00 საათზე. სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული საკრებულოს სხდომათა დარბაზი, რესპუბლიკის ქუჩა N6.

მუხლი 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენილ იქნას დღის წესრიგის შემდეგი საკითხები:

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა **(ბაღები და ბაგა-ბაღები)** გაერთიანების'' 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632435910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

2. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის 3 თვის შესრულების** მიმოხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

4. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) **45.49 კვ.მ ფართის საქართველოს ცენტრალური** საარჩევნო კომისიისათვის უზუფრუქტის

ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

5. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) მეორე სართულზე არსებული 11.22 კვ.მ ფართის და 9.92 კვ.მ ფართის შპს ,,სამტრედიის მაცნე''-სთვის, (საიდენტიფიკაციო ნომერი–238768455) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ **დიდი ჯიხაიშში მდებარე 60000.00 კვ.მ** სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.63.096) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

7. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **აპარატის დებულების** დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

8. **სხვადასხვა.**

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ.N1) მისი გამოცემიდან 1/ერთი/თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი